

ლამპრობის ტრადიცია საქართველოში

ქართულ ტრადიციულ ყოფაში ტერმინი და რიტუალი „ლამპრობა“ დასტურდება რამდენიმე მხარეში: სვანეთში (ორი დღეობის – მირქმისა (სვიმნობ) და ხალხური დღეობის ლამპრობ//ლიმპარი//ნამპრობ//„ლიჩედურალ“-ის დროს), მთიულეთში („ლამპორიობა“), გუდამაყარში („ლამპრიობა“), ფშავეში („ლამპორია“), ხევსურეთში („ლამპრობა“), ხევში („ამპარიობა“), გურიაში („ლამპრობა“) და სხვ.

ჩვენი დროისათვის ლამპრების ანთების წესი, ანთებულ ლამპრებით ეკლესიისაკენ მსვლელობა, ლამპრის მიტანა სასაფლაოზე, ლამპრებისაგან საერთო კოცონის დანთების ტრადიცია მოქმედია ზემო სვანეთში, ქვემო სვანეთის ერთ სოფელში (მახაში) და საქართველოს სხვა მხარეებში კომპაქტურად ჩასახლებულ სვანთა შორის. სხვაგან რიტუალი გაქრობის პირასაა.

როგორც უკვე ითქვა, ზემო სვანეთში ლამპრების ანთების ტრადიცია ორ დღეობას ახასიათებს: ერთია მირქმის//მიგებების დღესასწაული, რომელსაც სვანურ კილოებზე ჰქვია „სვიმნობ“ და მეორეა უძღვების კვირა დღის რიტუალი, რომელსაც სვანეთის სხვადასხვა ხეობაში ეწოდება „ლამპრობ“, „ლიმპარი“, „ნამპრობ“, „ლიჩედურალ“. სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურაში, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ორი დღეობა ერთმანეთშია არეული, რაც ართულებს მათ კვლევას და მართებულ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.

ნაშრომის მიზანია უპასუხოს კითხვას – სვანური ლამპრობა (იგულისხმება მისი ორივე ვარიაცია – მირქმის რიტუალიც და უძღვების კვირის რიტუალიც) ისტორიულად არსებული კანონიკური დღესასწაულის ნაწილი და მისი ხალხური ფორმაა, თუ მომდინარეობს არქაული ხანიდან და რომელიმე წაინარემონოთეისტური კულტის ან ზოროასტრიზმის გამოძახილია?

დასმული კითხვის პასუხი საკმაოდ რთულია და შეეცდები, არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული და თეოლოგიური ლიტერატურის საფუძველზე მოვახდინო დღეობების დეტალური ანალიზი, გამოკვეთო მათი ცალკეული კომპონენტები და წარმოვაჩინო საერთო და განსხვავებული სტრუქტურები, რათა გამოვლინდეს რიტუალების საზრისი და გენეზისი. წარმოდგენილი იქნება სრული ინფორმაცია ამ რიტუალების შესახებ: ისტორიოგრაფია, ძირითადი მოსაზრებები, ლამპრობის ეთნოგრაფიული აღწერები.

ლამპრობის ხალხურ დღეობათა გენეზისი დიდი ხანია მკვლევართა ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ქართულ მეცნიერებასა და პოპულარულ გამოცემებში, ასევე, მასმედიაში, მყარადაა დამკვიდრებული აზრი, რომ ლამპრობა წარმართული რიტუალია და გადმონაშთის სახითაა შემონახული სვანეთის ყოფაში.

საკითხის მეცნიერული შესწავლის ისტორია ივანე ჯავახიშვილით იწყება. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ლამპრობას კავშირი აქვს თეთრი გიორგის ღვთაებასთან და მთვარის კულტთან და დღეობა უძველეს დროში ქართველთა ყველა ჯგუფში აღინიშნებოდა. მკვლევარი იშველიებს დარისპან მარგიანის ეთნოგრაფიულ მასალას და მოგვიტყობს, რომ „სვანურ წმიდა გიორგობაზე, მეკერძისა და ფარისეველის კვირას, წირვის დროს რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი დიდით-პატარამდის წმიდა გიორგის საყდარში მიდიან. ყველას ხელში ანთებული არყის ხის ტოტები უჭირავს. ეკლესიასთან რომ მივლენ, ანთებულ ხეებს ერთიერთმანეთზე სდებენ და დიდ ცეცხლს გააჩენენ ხოლმე. მერე ხალხი „დიდებ“-ის ლოცვას და გალობას დაიწყებს. დიდებას მორჩება თუ არა, ხალხი სიმღერით შინ ბრუნდება და ორშაბათ დამემდის სიმღერა-თამაშობაში გაათენებს ხოლმე. ამ დღეობას სვანები „ლიმპიარი“-ს უძახიან და ქართულს ლამპრობას უდრის... სვანურ წმიდა გიორგობაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსი „ლიმპიარი“-ის ჩვეულებაა. ასეთივე ჩვეულება გურიაშიც სცოდნიათ“ (ჯავახიშვილი 1979: 97). როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილი საუბრობს, ეყრდნობა რა რეალურ ეთნოგრაფიულ მასალას (დ. მარგიანი), ხალხური დღეობის „ლამპრობ//ლიმპარი//ნა-

მპრობ//„ლიჩედურალ“-ის შესახებ, ანუ, დიდი მეცნიერი განიხილავს გიორგობისადმი მიძღვნილ ლამპრობას და არა მირქმისადმი მიძღვნილ რიტუალს. ეს დაკვირვება მრავალმხრივ საყურადღებოა.

იქვე ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს „ლამპრობ“-ის შესახებ არსებულ ცნობებზე, რომლებიც დაცულია ქართულ საისტორიო ძეგლში „მატიანე ქართლისაი“-ში, მეთუ საუკუნის საქართველოს პოლიტიკური სიტუაციის აღწერის დროს: „ქართლის ცხოვრებიდან ჩანს, რომ ლამპრობა ძველი ქართული ჩვეულება ყოფილა: კვირიკე ქორეპოსკოპოზის (ფადლას ძის)⁴³ შესახებ იქ ნათქვამია: კვირიკემ „ესე პირი ითხოვა, რათა მას ზამთარსა არა აღიღონ ციხე ბოჭორმისა და შემდგომად აღვსებისა წარვიდეს და ნება სცეს; ... განუტევეს დღესა ლამპრობასა...“. როგორც ამ ნაწივეტიდან ჩანს, მაშინაც ლამპრობა დაახლოებით იმავე დროსა სცოდნიათ, როგორც ესლა სვანები დღესასწაულობენ“ (ჯავახიშვილი 1979: 97; ქართლის ცხოვრება 1955: 269).

ლამპრობის რიტუალი იხსენიება „ჯელმწიფის კარის გარიგებაშიც“ და იგი მირქმას ეწოდება „ორშაბათს მეორეს ლამპარს⁴⁴ მონადირენი შეიქმენ, მეფეს წინაშე მიიღებენ, და ცოლსა მეფისასა და შვილთა, ვეზირთა და მოლარეთა ყველას მიართმენ. მეფე უბრძანებს პურსა, ღვინოსა და ფურბერწსა; ეგრეთვე დედოფალიცა უბოძებს; ვეზირნი და მოურავნი ყოველნივე მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა... და თუ მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა, აღარას აწყენენ, მაგრამ იგინიცა კარგად დაიხიზენიან და ლამპარსა ანთებულსა მხარსა შეიღებენ, ეგრე მგრგვალსა დააბმენ“ (თაყაიშვილი 1920: 11).

საისტორიო წყაროებში წყაროებში დადასტურებულ „ლამპარას“ იხსენიებს *ნინო ენუქიძე*, განიხილავს რა დღესასწაულთა აღწერის წესს ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით (ენუქიძე 1999: 423).

⁴³ კვირიკე მეორე ფადლას ძე (929-976).

⁴⁴ „ლამპარას“.

ხალხური ღამპრობის ტრადიციისა და კანონიკური სწავლების ურთიერთმიმარება შესწავლილია *ექვთიმე კოჭლამაზაშვილის* ნაშრომში (კოჭლამაზაშვილი 1998).

ექვთიმე კოჭლამაზაშვილის დაკვირვებით „ღამპრობა“ უბედესი ქრისტიანული სარიტუალო პრაქტიკიდან მომდინარე სახელი და ტრადიციაა. მეკლევარი განიხილავს ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველ ევხოლოგიონს, მირქმის//მიგებების გამომხატველ ქართულ ხატებს, აპოკრიფულ თხზულებებს, უდარებს მათ ხალხურ ყოფაში დადასტურებულ მასალას და დაასკვნის: ღამპრობა „ამჟამად საეკლესიო პრაქტიკიდან გამოსულია, მაგრამ იმდენად პოპულარული ყოფილა ქრისტიანობის ადრეულ ხანაში, რომ მისი სახელწოდება რიტუალური თავისებურება – ღამპრობისა თუ ცეცხლის ანთება, ჩირადნებით საზეიმო მსვლელობა და ლიტანიობა დღემდე შემოგვრჩა საქართველოს ბევრ კუთხეში... ღამპრობა მარტო „ჩუენი“ არ არის, იგი უბედეს დროში მთელ საქრისტიანოში ყოფილა გავრცელებული და მიგებების (მირქმის) დღესასწაულს უკავშირდება“ (კოჭლამაზაშვილი 1998: 14). ანუ, ე. კოჭლამაზაშვილის კვლევის ობიექტია მირქმასთან დაკავშირებული ხალხური ღამპრობის ტრადიციები.

ე. კოჭლამაზაშვილის მიერ მოძიებული მასალით, ძველ ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში დაცულია **ღამპართა კურთხევის წესები** („კურთხევაა ღამპართა მიგებებისათა“. „კურთხევაა ღამპრისა მიგებებასა“ და ა. შ. მაგალითად, სინურ ხელნაწერში, რომელიც X საუკუნისაა, წერია: „კურთხევაა ღამპრისაა მიგებებასა: უფალო ნათლისაო, განმანათლებლო ბნელისაო და განმომცდელი თურკუმელთაო, აღგზნთენ კაცთა მწუხრისა სანთელნი ესე, სახიერო და კაცთმოყუარეო უფალო, რამეთუ ბუნებაა ცეცხლისა შექქმენ, საჭმარებაა ზეცისაა მოგუმაღლე ჩუენ ბრძენთა მათ თანა წმიდათა ქალწულთა, შესლვად სასუფეველსა შენსა...“ (კოჭლამაზაშვილი 1998: 16-17). ე. კოჭლამაზაშვილის აზრით, უფლის მიგებების (მიქმის//მირქმის) დღესასწაული სულიერად უკავშირდება იმ ათი ქალწულის იგავს, რომლებიც სიძის მისაგებებლად ემზადებოდნენ. „სიძე სახეა ქრისტესი, სულელი და ბრძენი ქალწულნი ქრისტიანთა სულებს გამო-

სახავენ, საქორწინო სასახლე („სასძლო“) კი ღმრთის სასუფევლის მეტაფორაა... მართალი სვიმეონის მიგებება იმით ჰგავს ბრძენ ქალწულთა მოქმედებას, რომ ისიც, მათ მსგავსად, სულიწმიდის ღამპრით იყო განათებული“ (კოჭლამაზაშვილი 1998: 16-18; მათე 25, 1-13).

ღამპრობის სვანური რიტუალები ქრისტიანულ ტრადიციებთანაა დაკავშირებული ჩემ ნაშრომშიც (გუჯუჯიანი 2008), მაგრამ, წლებია, ფართო საზოგადოებაში კვლავაც ევოლუციონისტური კვლევის მეთოდებიდან მომდინარე, ხედვაა დამკვიდრებული, რამაც მაფიქრებინა ღამპრობის რიტუალის დეტალური ანალიზი და მკითხველისათვის მიწოდება.

მირქმის//მიგებების დიდ დღესასწაულად მიხნევას წინ უძღოდა ბიბლიური ისტორია: ძველი აღთქმის თანახმად (გამოსვლა 22, 28), პირველშობილი ვაჟი მშობლებს ტაძარში მიჰყავდათ და ღმერთს შესაწირავს უძღვნიდნენ. შესაწირავი ღარიბთათვის ორი გვრიტით ან მტრედის ორი მართვეთი განისაზღვრებოდა.

სახარებიდან ცნობილია, რომ მართალმა იოსებმა და ღვთისმშობელმა ყრმა იესო შობიდან მე-40 დღეს მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში (ლუკა 2, 22), მტრედის ორ მართვეც მიიყვანეს შესაწირად. მათთან მივიდა 360 წლის მოხუცი მართალი სვიმეონი (ლუკა, 2, 25), სწავლული, ერთ-ერთი მთარგმნელი ბიბლიისა ბერძნულ ენაზე, რომელსაც, თავის დროზე, ანგელოზისაგან ეუწყა, რომ იგი ღირსი გახდებოდა მაცხოვრის ხილვისა. მართალმა სვიმეონმა ყრმა **გულზე მიირქვა** და სიხარულით მადლი უძღვნა უფალს. სვიმეონ წინაასწარმეტყველი 300 წელი ელოდა ამ ბედნიერ დღეს (მინდიაშვილი 1998: 30-37).

მირქმის//მიგებების დღესასწაული, საეკლესიო სწავლებით, ერთ-ერთი უძველესი დღესასწაულია, მაგრამ მისი განსაკუთრებული ზეიმით აღნიშვნა დაწყებულია VI საუკუნიდან. ისტორია მოგვითხრობს, რომ იმპერატორ იუსტინიანეს (527-565 წწ.) დროს, 528 წელს, ანტიოქიას თავს **დაატყდა საშინელი მიწისძვრა, დიდი მსხვერპლით, შემდეგ გავრცელდა შავი ჭირის ეპიდემია**. დაიხოცა უამრავი ადამიანი. ერთ კეთილმსახურ ქრისტიანს ზეგარდმო ეუწყა, რომ აუცილებე-

ლი იყო მირქმის დღესასწაულის უფრო საზეიმოდ აღნიშვნა. მას დაუჯერეს და როგორც კი მირქმის დღესასწაული დამისთევის ღოცვებითა და ლიტანიობით აღნიშნეს, ეპიდემიის გავრცელება შეჩერდა. დეთისადმი მადლიერების ნიშნად, 544 წელს ეკლესიამ განაჩინა, მირქმა//მიგებების საზეიმოდ აღნიშვნა (წმიდანთა ცხოვრება 2001). ამ დროიდან მოყოლებული საქართველოს ეკლესია აღნიშნავს დღესასწაულს საეკლესიო განჩინების თანახმად.

ცნობილია, რომ საეკლესიო მოძღვრებიდან შემეცნებული არაერთი საგულისძო მომენტი შემონახულია ტრადიციულ ყოფაში. მოგვეპოვება მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალა მირქმის/მიგებების აღნიშვნის ქართული ხალხური ტრადიციების შესახებაც. მიუხედავად ამისა, მკვლევართა ნაწილი ყოველგვარი მეორეული ანალიზის გარეშე საუბრობს მირქმის აღმნიშვნელი „ლამპრობის“ სვანური ვარიაციის წარმართულობაზე. რასაკვირველია, ყოველი სამეცნიერო მოსაზრება გაზიარებული ან უარყოფილი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ეთნოგრაფიული მასალისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დეტალური და კრიტიკული ანალიზის შემდეგ, მყარი არგუმენტების საფუძველზე.

ლამპრობის რიტუალის გენეზისი, შესაძლოა, განხილული იყოს წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენების რეკონსტრუირების კონტექსტშიც, მაგრამ, ვფიქრობ, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს რიტუალში გამოვლენილ სხვა შრეებზეც: რომლებიც ქრისტიანული კულტურისა და მსოფლალქმის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებიდან მომდინარეობს. მკვლევარმა უნდა გვანვენოს რიტუალში მონაწილეთა ხედვა და დღეობის მათებური ინტერპრეტაცია. ამ კუთხით მოსაზრება შეიძლება გაიყოს და დღეობაში გამოვლინდეს არა მხოლოდ სინკრეტულობის ელემენტები, ანუ წარმართული ხანიდან მომდინარე სიმბოლოების (ცეცხლი, ლამპარი) „გადმონაშთად“ არსებობა, არამედ გამოვლინდეს რიტუალის გახალხურების, პაგანიზების ამსახველი მრავალფეროვანი მასალაც.

დავიწყოთ თეორიული ასპექტებით: ვფიქრობ, სრულიად არაობიექტურია დღეობის „გადმონაშთად“ მიჩნევა, რადგან,

ცნობილია, რომ მკვდარი რელიქტი – გადმონაშთი – ცოცხალ ყოფაში ადგილს ვერ იმკვიდრებს და საზოგადოებისათვის უფუნქციო მოდელები და ელემენტები დროთა განმავლობაში ქრება. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ „ტრადიციაა ის ზნე, ჩვეულება, რომელზედაც საზოგადოებას მოთხოვნილება გააჩნია, რაც უფუნქციონირებს“ (თოფჩიშვილი 2014: 188). ლამპრობის ტრადიცია კი ჩვენთვის ხელმისაწვდომი საისტორიო (მათ შორის, საეკლესიო) წყაროებით ადრექრიტიანული ხანიდან მომდინარე ქრისტიანული რიტუალია და იგი ცოცხალია, თუმცა კი ტრანსფორმირებული, XXI საუკუნის ქართველთა ნაწილის ყოფაშიც. ანუ, დღეობის ხანგრძლივი ისტორია შთამბეჭდავია. ლამპრობის რიტუალების სიცოცხლისუნარიანობის ნათელი გამოხატულებაა რიტუალების დამკვიდრება სვანეთს გარეთ შექმნილ სვანთა კომპაქტურ დასახლებებშიც, რაც გრძელდება დღემდე – 2015 წლამდე, 1987 წლიდან მოყოლებული.

ცნობილია, რომ ევოლუციონისტური კვლევის მეთოდი, რასაც, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, ემყარებოდა საბჭოთა პერიოდის მეცნიერება, ძირითადად, მისადაგებულია წინასწარ შემუშავებულ და მკაფიოდ ჩამოქნილ დოგმებს – გადმონაშთების თეორიის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს. სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ დასკვნებს არის მისადაგებული ეთნოგრაფიული მასალა და არა პირიქით. ამგვარი ვითარება განსაკუთრებით დამძიმებულია ქართველ მთიელთა სულიერი და სოციალური ინსტიტუტების კვლევის ამსახველ სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურაში: ტრადიციული ქრისტიანული კულტურის ესა თუ ის ელემენტი წარმართობიდან მომდინარე „გადმონაშთად“ არის მიხნეული. კულტურის ამგვარი ცალმხრივი შეფასება, მეცნიერთა პუბლიკაციებიდან, გადასულია ყოველდღიურ ყოფასა და მასმედიაშიც, რაც ჩვენს დროშიც არ არის დაძლეული და მან მოიცვა მთელი საზოგადოება: ნებისმიერი ადამიანი, სრულიად უაპელაციოდ, ბუნებრივად, ყოველგვარი ანალიზისა და კრიტიკული მიდგომის გარეშე ისე მიუსადაგებს, უთქვათ ბარბარობის რიტუალებს „წარმართობას“, რომ არც კი დაფიქრდება, რამდენად რეალურია

მისი შეფასება. ამგვარი „ცოდნა“ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მკვიდრდებოდა და, ვფიქრობ, კიდევ დიდი დრო დასჭირდება განსხვავებული და რეალობასთან ახლო მდგომი მოსახრებების გავრცელებას და დამკვიდრებას.

„წარმართობის გადმონაშთების“ ცოცხლად არსებობის მტკიცება, თანაც გასაოცარად ჭარბი დოზებით, რასაკვირველია, ქართული ყოფის არამეცნიერული გააზრების შედეგია. სრულიად ბუნებრივია და ჩვენი დროისათვის აუცილებელია ეთნოგრაფიული არტეფაქტების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მეორეული ანალიზი, წინასწარ გამოტანილი დასკვნებისაგან კვლევის გათავისუფლება და ყოველი კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის გამომწველივით, დეტალური ანალიზი.

შევეცდები, წარმოვადგინო სრული ეთნოგრაფიული ინფორმაცია ლამპრობის სვანეთში არსებული რიტუალებისა და მათი თანმხლები რწმენა-წარმოდგენების შესახებ, გავაშუქო პრობლემა საისტორიო და საეკლესიო წყაროების საფუძველზე, შევადარო იგი რიტუალის მონაწილე სვანთა მსოფლადქმას, ანუ, და მოვახდინო სამეცნიერო ლიტერატურის მეორეული ანალიზი.

სადღესასწაულო ლამპრობის მომზადებისა და დანთების ტრადიცია დღეისათვის ყველაზე მკაფიოდ და ცოცხლად საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, ზემო სვანეთშია, შემონახული. სწორედ ეს სეგმენტი ანიჭებს რიტუალს განსაკუთრებულ სილამაზეს და ეგზოტიკურობას.

ლამპრობის ტრადიცია არსებობას აგრძელებს ბარად მცხოვრებ სვანთა კომპაქტურ დასახლებებშიც (დმანისის, მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, წალკის, ცაგერის, წყალტუბოს რაიონებში). ლამპრობა და მირქმა აღინიშნებოდა დალის სვანეთშიც, ვიდრე იქ ქართველები ცხოვრობდნენ. 2008 წლის შედეგ კი დალის ხეობის ქართველი მოსახლეობა დევნილია მშობლიური მხარიდან და განსახლებულია საქართველოს არაკუპირებულ ნაწილში. მათი ერთი ჯგუფი კომპაქტურად ცხოვრობს თეთრიწყაროს რაიონში და იქ ლამპრობის ტრადიცია არსებობას აგრძელებს. ქვემო სვანეთში ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალით, ლამპრობის ტრად-

დიცია მხოლოდ სოფელ მახაშში აღინიშნებოდა, რადგან აქ ზემო სვანეთიდან გადმოსახლებული ოჯახები ცხოვრობდნენ.

როგორც უკვე ითქვა, სვანეთში ლამპრების მომზადება და დანთება, ლამპრებით რიტუალური მსვლელობა და ღოცვა ორ დღესასწაულთან დაკავშირებით იკვეთება: **მირქმის დღესასწაულზე (სვანურად „სვიმნობ“)** და ხალხური დღეობის **„ლიმპარი“** // „**ლამპრობ**“ // „**ნამპრობ**“ // „**ლიჩედურად**“-ის მსვლელობისას. პირველი რიტუალი უშუალოდ მირქმას ეძღვნება, მეორე კი ტრანსფორმირებულია და წმიდა გიორგის სამადლობელს წარმოადგენს.

სხავდასხვა სამეცნიერო წერილსა თუ წყაროში **დღეობის სახელი და მისი იდენტიფიკაცია ადრეულია**, ესა თუ ის მეკლევარი, ხშირად ერთიდან მეორე დღეობაზე გადადის და ზოგიერთ ჩანაწერშიც კი სათაური არასწორად არის მითითებული, რაც გამოწვეულია **სარიტუალ ატრიბუტის – ლამპრის – აუცილებლობით ორივე დღეობაზე**.

ცნობილია, მირქმა **2 (15) თებერვალს აღინიშნება**. მირქმის საუფლო დღესასწაულს სვანეთში „სვიმნობს“-ს უწოდებენ. დღეობის სახელწოდება მომდინარეობს **სვიმეონ წინასწარმეტყველის** სახელიდან, მაგრამ ერთეულ შემთხვევებში მირქმის დღეობის აღსანიშნავადაც „ლამპრობ“-ა არის გამოყენებული, მაგალითად, ლენჯერული მირქმის ვარიანტის აღწერისას (ქრესტომათია 1978: 8).

შემონახულია მირქმის დღეობის ადრეული აღწერილობებიც, რომელთაგანაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბესარიონ ნიჟარაძისეული მასალა. შემდგომი დროის აღწერილობები გამოქვეყნებულია „სვანურ პროზაულ ტექსტებსა“ (სვანური პროზაული ტექსტები 1939) და „სვანური ენის ქრესტომათიაში“ (ქრესტომათია 1978), მასალა მოწოდებულია სვანურ დიალექტებზე. რამდენიმე საინტერესო ჩანაწერი წარმოდგენილია *ნელი ჩართოლანის* ნაშრომშიც (ჩართოლანი 2003).

მირქმის ლამპრობა სვანეთში

სვანეთის მირქმის რიტუალის უძველეს აღწერილობას გვაწვდის *ბესარიონ ნიჟარაძე*: „ლამპრები იცის **ხალხმა 2-ს ფებერვალს, მირქმას (სვანურად სვიმონ – სვიმეონობა)**... ამ

დღეს დილით ყოველი მოსახლე ერთს დანიშნულ ადგილს, უფრო ხშირად, სოფლის შუაგულს, მიიტანს თითო კონა შეშას. შეშის კონებს ერთიმეორეზედ თივის ზვინის მსგავსად დააწყობენ; ქვედამ ცეცხლს მისცემენ და ერთიანად დაიწვის ეს შეშის ზვინი. შეშის დაწვის დროს ოჯახებიდგან მოიტანებენ სამ-სამ ყველიან პურებს ხონჩაზედ დადებულს. ერთი სოფლის მოხუცთაგანი ცალ-ცალკე, მოსახლის რიცხვზედ შეალოცებს ხონჩიანად ამ პურებს ამ სიტყვებით: ... **მეგა-უფლია**⁴⁵, დალოცე შალვა, მისი ყოფა-ცხოვრება, მისი ნაქნარ-ნამოქმედარი, მისი ნახნაფ-ნათესი, მისი მოზარდი მომსწრე ახალგაზრდობა და ასე წალმა დააბრუნე“. ამ დროს სუფრას პურებიანად წალმა დააბრუნებს. ამნაირად დალოცავს ყველა მოსახლეს ცალ-ცალკე. როცა დალოცვას გაათავებს, პურებს აქვე დასჭრიან და მდგომარე ხალხი ირიგებს საჭმელად“ (ნიჟარაძე 1962: 59-60).

ლენჯერის მირქმის სახელად „ლამპრობ“-აა მიწერილი. წარმოდგენილი ინფორმაცია ეხება **მირქმას** და ამ შემთხვევაში მთხრობელი ლამპრების დანთების წესს გულისხმობს და მასალის სათაური უნდა იყოს „სვიმნობ“. **„ლამპრობა არის თებერვალში სვიმნობ-ის დამეს**. ამ დამისათვის ოჯახებში დიდი ხნით ადრე მომზადებულია ლამპრები. დადამების შემდეგ ყოველი ოჯახიდან გამოაქვთ მოზრდილი ლამპრები და მათგან კოცონს ანთებენ საყდრის ეზოში. შემდეგ თითო მომცრო ლამპარს საფლავებთან ჩაარტობენ. ახალი მიცვალებულის ჭირისუფალი არაყსაც გამოიტანს და იქვე საფლავთან „ლიფანე“-ს გამართავს. ლამპარს მხოლოდ არყის ხისაგან ვამზადებთ, რადგან, გადმოცემით, არყის ხე თვით ქრისდე ღმერთისაგან არის დალოცვილი. ქრისდეს გასჭირვებია, მას ურიები მისდევდნენ. ქრისდე ჯერ ქალმა შეიფარა, მაგრამ კვლავ დაინახეს ურიებმა. ქრისდე ვერხვს შეეფარა, შეშინებულმა ვერხვმა ტოტები მალლა ასწია, ქრისდემ შეაჩვენა ვერხვი, ქარშიც და უქარო-

⁴⁵ „მეგა-უფლია“-ს მნიშვნელობას თვითონ ბესარიონ ნიჟარაძე გვიხსნის: „მეგა ბერძნულად ნიშნავს დიდს, მაღალს, და ერთათ მეგა უფლია გამოვა დიდო ანუ მაღალი უფალო, გინა ღმერთო!“ (ნიჟარაძე 1962: 60).

ბის დროსაც, ფოთლები სულ გითრთოდესო. ბოლოს ქრისდემ არყის ხემ შეიფარა, ხემ ტოტები ძირს დაუშვა და მაცხოვარი დამალა. ქრისდემ დალოცა არყის ხე: ლოცვისთვის ვარგისი ყოფილიყავიო, სულისა და ადამიანისათვის გამოსადეგი ყოფილიყავიო, ღმერთისთვის სალოცავად ვარგისი ყოფილიყავიო“ (ქრესტომათია 1978: 8).

საინტერესოა **იფარის თემის მირქმის რიტუალი**: „იფარელებს **სვიმნიშ-ი** გვხვევია ორ თებერვალს. სახლებიდან გამოგვაქვს თითო დიდი ლამპარი სვიფში და ვანთებთ ერთ ადგილას კოცონს. კარგი დღე გვაქვს. ვმხიარულობთ, ვგუნდაობთ, ვციგურაობთ. მეორ დღეს **წმიდა გიორგის ნამპრობა** (ჯგირაგი ნამპრობ) გვაქვს, **ლამარიას ლამპარიც** მიგვაქვს და ამათ ორ ადგილას დავანთებთ. მესამე ლამპარი („კოტოლ ლამპარ“) დილით ადრე გაგვაქვს. მესამე დღეს ვიციით **ცის ლამპრობა** („დეცე ლამპარ“). ამ ლამპარს გრძელ ტარს ვუკეთებთ და მადლა აღმართული მიგვაქვს, **რათა ცას მიწვდეს და ცაც გათბეს. ცას რომ მიწვდება სითბო – ეს გვისრულდება ამ ღამით.** მირქმის ღამით („სვიმნი ლეთ“) კალოზე **თვალის ლამპარს** ვდგამთ. ვისაც გვმართებს თვლების დაავადებისგან და ვლოცულობთ. ერთ ხელში სამი ლემზირი გვიკავია, მეორეში ანთებული ლამპარი და ვლოცულობთ – **შეგვეწიოს იფარელებს მირქმის ღამის ლოცვა“** (სვანური პროზაული ტექსტები, 1939: 14-15). მასალა ჩაიწერა *ვ. თოფურიაძე* სოფელ იფარში 1926 წელს.

განსხვავებულია მულახის თემის სოფელ **ლახირის** მირქმის რიტუალი. მას ლახირში საკარნავალო დღეობათათვის დამახასითებელი ფორმით ასრულებენ. ჯერ წარმოთქვამენ მირქმის ლოცვას და შემდეგ იწყებენ „კეისარობის“ რიტუალს: „ერთი უქმე ვიციით ლახირელებმა, ეს უქმეა სვიმნიშ-ი და ემთხვევა პირველ თებერვალს. მთაში გვაქვს საყდარი და მას ვუწოდებთ „მადლიან“-ს ან „თარინძელ“-ს (მთავარანგელოზი). სვიმნიშ-ს მორიგეობით გვიმასპინძლდება ესა თუ ის მორიგე ოჯახი. მირქმის დილით მორიგე ოჯახის მამაკაცი ადის „მადლიან“-ში და იქ ლოცულობს. მერე სალოცავად ადის სოფელი. ვისაც სურვილი აქვს ასელისა, მას პური და ზედაში მიაქვს. პურს და ზედაშს შეწირავენ. მერე ტაბლას შლიან და ტრაპეზობენ. საღამოს პირს, სუფრას

ამთავრებენ, დასხდებიან და „კეისარს“ ირჩევენ. კეისარად იმას ირჩევენ, ვისაც კეისარობა შეუძლია. არჩეულს ნახშირით გამურავენ, მერე ვაზირებს ირჩევენ. კეისარი დარბის, ზოგიერთ ვაზირს კოცონისკენ მოისვრის, ზოგიერთს წააქცევს, სხვებს თოვლში აფლობს, ხალხი იცინის. ამაობაში მოსაღამოვდება და კაცები ლამპრებს ანთებენ. ლამპრები სოფლიდან აქვთ ამოტანილი. ამ ლამპრებისაგან ანთებენ დიდ კოცონს. ამ კოცონს რომ სოფლიდან დაინახავენ, მაშინვე სოფელშიც ანთებენ ლამპრებს და ფერხულობენ („ჭიშხაშ“), ფერხულს მართავენ ზემოთ, ეკლესიასთანაც. სახუმარო მოძრაობებს ასრულებენ კეისარი და მისი ვაზირები. კეისარი ეჭიდავება სხვებსაც, ვაზირები კეისრის მხარეს არიან, რიგითი ხალხი კეისარს ხელს ვერ უბრუნებს და მას პატივისცემით „ფუსდ“-ს უწოდებენ. ასე გრძელდება ლამპრების ჩაქრობამდე, რის შემდეგაც სოფელში ბრუნდებიან. კეისარი სოფლისკენ ძახილით მიემართება, ყვირის: ოოო, ვოო, ცდილობს, რომ ყოველი შემხვედრი დაჯახნოს. გამფლელებს ჯოხით ემუქრება. სოფელში შევდივართ ამ წლის მესუმნიშე ოჯახის ეზოში. კეისრის ხალხი მოციქულობას ვუწყებთ მასინძელს. კეისარი შეუთვლის, სახლი დამიცავლეთ, მაგრამ კარიდან არ გამოხვიდეთ, ნეხესაყრელიდან გაიპარეთო, მაგრამ ერთი დარჩით საფუარის მცველადო. ზემოდან ისეთი დიდი ჯარი მომყავს, თავი რომ ერაშშია, ბოლო ჭოლაში მოჩანსო. ქვემოდან კი ჯარი ბახსანის იქიდან მოდის და თავი ქიპიურთანაა და ბოლო მესტიაშიო. მოციქული გადასცემს ამბავს მასპინძლებს. მასპინძელი მხარე მოპასუხეებს ირჩევს, ესენიც ხუმრობით პასუხობენ. ბოლოს მასპინძელი გამოვა ერთი კარვა არყით და კეისარს პატიუბას სთხოვს. სახლიდან გამოაქვთ სანთლები და ურიგებენ საყდრიდან ჩამოსულებს, ესენი სანთლებს ანთებენ და ჯარის წყობით ლაგდებიან და მასპინძლის მოციქულს მიჰყვებიან, შედიან სახლში. ამ სელას „სადამ“-ის მსვლელობას ვუწოდებთ. მათ უკან დანარჩენი ხალხიც მიჰყვება. სამჯერ შემოუვლიან კერიას სიმღერით და უცებ იწყებენ ჭიდაობას, ორთაბრძოლებს. შემდეგ კეისარს და მის ჯარს ერთად დასხამენ. ვახშობენ. ცოტა ხანში კეისარს „ცოლებს“ მოჰგერიან, სამს ან მეტსაც. „ცოლების“ მოგერის დროს ბავშვები

კერიის ნაცარს ამტვერებენ და გაჰყვირიან, კეისრის ქორ-
წილია! კეისარი „ცოლებს“ ეალერსება, ეხუმრება. მასპინძ-
ლები ყველს ჭრიან და ჯარს მიაართმევენ. ასე გრძელდება
ლხინი. ბოლოს აისლებიან და შინ მთვრალეები ბრუნდებიან
(სვანური პროზაული ტექსტები 1939: 13-14).⁴⁶

**სვანეთში დღეისათვის მირქმის დღეობის თანამედროვე
კრებსითი სახე** ამგვარია: მირქმის დღეობისათვის წინასწარ
არყის ხისაგან მზადდება „ლამპრები“. ლამპრისათვის საჭი-
რო არყის ხეს ჭრიან ტყეში ახალი წლის (ზომხა, კანდა)
მომდევნო დღეებში. მოჭრილი ხეები მოაქვთ შინ და კარგად
გამთაშრობენ ხოლმე. ამავე დროს ამზადებენ შეშის კონას
– „სვიმნილ“ს. პირველ (იშვიათად) ან ორ (ხშირად) თებერ-
ვალს სადამოს, შებინდებისას იმ ოჯახებიდან, სადაც ერთი
წლის განმავლობაში ოჯახის წევრია გარდაცვლილი, ოჯა-
ხის წევრ მამაკაცებს გამოაქვთ ანთებული ლამპრები და
სასაფლაოზე თავ-თავიანთი მიცვალებულების საფლავეებზე
თავით მიწაში ჩაარჭობენ. ამავე დროს, სოფლის ყველა
ოჯახს მოაქვს „სვიმნილ“-ი (თითო კონა შეშა). „სვიმნილ“-
ებს ერთ ადგილას დააწყობენ და მისგან კოცონს ანთებენ.
ახალი მიცვალებულის ჭირისუფლებს (გარდაცვალებიდან
წლისთავამდე) სასაფლაოებზე გამოაქვთ საკურთხი – იმარ-
თება „ლიფანე“ – საკურთხის „დაფენა“. იკრიბება მთელი
სოფელი. გაიშლება სუფრა.

ძველად, როდესაც სასაფლაოები ეკლესიების გარშემო
მდებარეობდა, ეს რიტუალიც ეკლესიების მახლობლად
სრულდებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ზოგან სასაფლაო-
ები ახალ ადგილებზე გაიხსნა, რიტუალის შემსრულებლებ-
მაც ახალ სასაფლაოებზე გადაინაცვლეს.

მირქმისადმი მიძღვნილი ლამპრობის ტრადიცია შემონა-
ხული იყო **გურიაშიც**. *აპოლონ წულაძის* მასალით, ლამპ-
რობა იყო „პირველი თებერვალი, ანუ მიგებება სადამო. ამ

⁴⁶როგორც უკვე ითქვა, საკარნაველო ფორმისაა ლახირელების
დღეობა. ლახირელმა ეკომიგრანტებმა რიტუალი გადმოიტანეს
გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარაშიც. დღეობა შეისწავლა
ბაკლაურმა თონა კვანჭიანმა და წარმოადგინა სბაკლაურო
ნაშრომის ნაწილად (თსუ, 2015).

სადამოსათვის ბავშვები ძალიან ადრიდან ემზადებოდნენ, რომ კარგი ლამპარი ჰქონოდათ, რასაც აკეთებდნენ უფრო ხშირად ბალის ტყავისაგან, ნახევნიდან, ანწლის ღეროსგან, ჩალისგან და სხვა. კარგად რომ დაბნელდებოდა, ოჯახის ყველა წევრი, დიდიან-პატარიანა, თითო ლამპარს გამოიტანდა ანთებულს, ამნაირად, მთელი არე-მარე განათდებოდა, ბავშვები ყიჟინებდნენ, ლამპრობაო – იყო სიცილი, ხუმრობა, ლამპრის ლამპარზე დარტყმა. სოფელი სოფელს ეჯობებოდა და ოჯახი – ოჯახს – ვის კარგი ლამპარი აქო. ვახშამი იმ დამეს განსაკუთრებით კარგი კეთდებოდა. მეორე დღეს – კიდევ კარგი სადილი. ყველა ეკლესიაში მივიდოდა და იქაც წინა ღამის ლამპრის შესახებ ლაპარაკობდნენ. ძველი კაცები გაზაფხულის მაგიერ გალამპრობას ხმარობდნენ, – გალამპრობაზე ძროხა წველას იზამსო და სხვა ასეთები. ლამპარს კიდევ უძახოდნენ ჟინუდლს და ფაკლას. ჟინუდლივით ღოყები აქო, ფაკლასავით იენთოვო, ხმარობდნენ ასე ლაპარაკში“ (წულაძე 2009: 74-75).

წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი ლამპრობა –

„ლიმპარი“-ი, „ლამპრობ“, „ლიჩედურალ“-ი

ლამპრებით მსვლელობა და რიტუალი სრულდება ხალხური დღეობის, რომელიც სხვადასხვა კილოზე სხვადასხვაგვარად წარმოითქმის, „ლიმპარი“-ს, „ლამპრობის“, „ლიჩედურალ“-ის – დროსაც. ბალსზემთ დღეობას „ლიმპარი“/„ლამპრობ“ ჰქვია, ბალსქვემთ კი „ლიჩედურალ“-ს უწოდებენ. ბალსზემთური სახელი „ლამპრდან“ მომდინარეა; „ლიჩედურალ“ ბალსქვემურ კილოზე „უერთიერთობას“, „მისვლა-მოსვლას“ ნიშნავს აზრობრივად.

„ლიმპარი“-ს//„ლამპრობის“//„ლიჩედურალ“-ის დღეობას ზემო სვანეთში დიდმარხვამდე, მეზვერისა და ფარისეველის კვირის შემდეგ, უძღები შვილის შვიდეულის კვირა დღეს, ანუ, უძღების კვირეულის კვირას აღნიშნავდნენ. თარიღს ანგარიშობდნენ საეკლესიო კალენდრით. XIX საუკუნის მიწურულის მასალით დღეობა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა (კვირიდან სამშაბათამდე). ჩვენი დროისათვის დღეობა ერთ დღიანია. მიუყვეთ მასალას თანმიმდევრობით:

ბესარიონ ნიჟარაძის მასალით, „სახალხო დღესასწაული „ლიმპარი“ (ლამპრობა) იწყება უძღების კვირის კვირი-

აქეს და გრძელდება იმავე კვირის სამშაბათამდი. სამს საზოგადოებას გარდა (უშკულის, კალის, იფარისა) ეს დღესასწაული ყველგან იცვიან სვანეთში და იცვიან ამ ნაირად: თვითთუელს ოჯახს შემოუვა იმდენი სტუმარი ნაცვალნი („ნაცვალ“), რამდენი სულიც იმის ოჯახშია. ერთ წელიწადს ერთი მოსახლე გადიხდის ამ დღესასწაულს, მეორე წელიწადს იგი სხვაგან იქნება დაპატიუებული, ე. ი. იმ ოჯახში, რომელ ოჯახიდგანაც მას ყავდა დაპატიუებული კაცები პირველ წელიწადს... საზოგადოება ყველა წელს ორათ არის დაყოფილი: ერთი ნახევარი საზოგადოებისა მედღესასწაულეა, დამხვედრელია, მეორე ნახევარი საზოგადოებისა კი დაპატიუებული. მეორე წელიწადს კი პირიქით... კვირითგან სამშაბათამდი მასპინძელს უხვად უნდა ქონდეს ყველაფერი ხორაგეულობა: პური, არაყი, ხორცი და ყველი. სიმდერას, ორფერხულს და თამაშს, როგორც კაცების, ისე ქალებისას, სამზღვარი არა აქვს. ყველას შეუძლია, სადაც უნდა იქ მივიდეს დაუპატიუებლად, სადაც მას მიიღებენ დიდის სიამოვნებით და პატივისცემით, რაც უნდა ოჯახის მტერი იყოს... დღესასწაული იწყება კვირა დილას; სადამოს თვითთუელი ოჯახი აანთებს წინათვე დაუენჯილს და ცხვენს ქვეშ გამხმარს არყის ხისაგან გაკეთებულს ლამპრებს. ერთს დიდ ლამპარს წაიღებს მოსახლე ადგილობრივს ეკკლესიაზედ, თითო მთმცრო ლამპარს ყოველს მის მიცვალებულთ საფლავზედ და ერთსაც, რომელიც სიდიდით ყველა ლამპრებზედ მეტია – კალოში. ხალხის რწმუნებით საფლავებზედ დანთებული ლამპრები გზას უნათებენ იმათ მიცვალებულთ საიქიოს, როდესაც იგინი ამიერ ქვეყნიდგან მიემგზავრებიან: კალოზედ დიდი ლამპარი არის დანიშნული „სუნდუქე დეცეშისთვის“ (ნიჟარაძე 1962: 58-59).

ჩემი აზრით, „სუნდუქე დეცეშ“-ისადმი აღვლენილ ღოცვასა და ლამპრის სიმბოლიკაში მოჩანს, მკაფიოდ და თვალსაჩინოდ, მირქმის დღესასწაულის საზეიმოდ აღნიშვნის დამკვიდრების ამსახველი ისტორიული ამბის ანარეკლი: „კალოზედ დიდი ლამპარი არის დანიშნული „სუნდუქე დეცეშ“-ისთვის“. ეს „სუნდუქე დეცეშ“ ხალხის აზრით არის

ის ცის ღმერთი, რომლის ხელთ არის ყვაეილის⁴⁷ მოვლენა ქვეყანაზე და ამისათვის ღამპრის ანთების დროს ხალხი ეხვეწება მას, რომ მან მშვიდობიანად მოავლინოს ყვაეილი და ბავშვები არ დახოცოს. ადგილობრივს ეკლესიაში მიტანილის ღამპრით სვანი სთხოვს ეკლესიას, ააშოროს მას ამის ოჯახში მყოფთ თვალის ტკივილი, რომელიც ასე ხშირია სვანებში კვამლიანის სახლების გამო“ (ნიუარაძე 1962: 59). **გავიხსენოთ, რომ სწორედ ღვთის რისხვის – ეპიდემიის შემდეგ დაიწყეს ბიზანტიაში მირქმის დღეობის ფართოდ აღნიშვნა.**

ბალსქვემო სვანეთის ყველა თემში (ბეხო, ცხუმარი, ეცერი, ფარი, ღახამულა, ნაკრა, ჭუბერი, ხაიში) ღამპრობის დღესასწაულს **ლიჩედურალ** ჰქვია. დღესასწაული გამთენიისას იწყება: ყოველ ოჯახს შინიდან გამოაქვს იმდენი ანთებული ღამპარი, რამდენი მამამკაცია ოჯახში (თუნდაც სვანეთიდან სხვაგან გადასული საცხოვრებლად). ღამპარი გამოაქვთ იმ შეთხვევაშიც, თუკი ოჯახში ორსული ქალია, იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა, ბიჭი დაიბადოს. კაცები ანთებული ღამპრებითურთ მიემართებიან სასოფლო მოედნისკენ (სუფ), სადაც, უმრავლეს შემთხვევაში ეკლესიაცაა აღმართული და წინასწარ მომზადებულ ადგილას, მოედნის შუაგულში ღამპრების კოცონს ანთებენ. ყოველი ახალმოსული თავის ღამპარს უმატებს საერთო კოცონს და წარმოთქვამს სიტყვებს – წმიდა გიორგი, ამრავლე მოღამპარეები ჩვენს სოფელში! დამხვდურები მხიარულად შესძახებენ: ამენ! გაისად ღამპრობასაც მშვიდობით შეხვედროდე და შენს ღამპარს ემატოს“-ო. მამაკაცების შემდეგ კოცონს უახლოვდებიან ქალები და ბავშვები. ყოველ მლოცველს მოაქვს შინიდან ზედაშე და სეფისკვერები (ღემზირ). სრულდება ღოცვა წმიდა გიორგის სახელზე. მღერიან საგალობელ „ჯგრაგ“-ს. იშლება ტრაპეზი. კოცონი დიღამდე გიზგიზებს და მის გარშემო იმართება სხვადასხვა სპორტული თამაშობა და შეჯიბრი. სრულდება საწესო ფერხულები და სიმღერები. მედღესასწაულენი საღამოს რომელიმე მო-

⁴⁷ „ყვაეილი“ – სახადი.

რივე ოჯახში იყრიან თავს, სადაც სუფრაა გაშლილი და დილამდე მხიარულობენ.

დღეისათვის მოსახლეობა „ლიმპარი“//„ლამპრობა“//„ლინედურალ“-ს წმიდა გიორგისადმი მიძღვნილ დღეობად თვლის. შემონახულია გადმოცემის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგანც ყველაზე გავრცელებულია შემდეგი შინაარსისა: სვანეთს თათრების ურიცხვი ლაშქარი შემოსევია. სვანეთის მოსახლეობას მტრის შემოსევის შესახებ საგუშაგო კოშკებზე დანთებული ლამპრებით შეუტყვია. მოლაშქრეებს ოჯახებიდანაც წამოუღიათ ლამპრები, რომ მათ რიცხოვნობას და სინათლეს მტერი დაეფრთხო. ბრძოლაში ჩაბმულა თვით წმიდა გიორგიც, რომელსაც მეომრები თვალხილულად ხედავდნენ. სვანეთის ლაშქარს მტერი პირწმინდად დაუმარცხებია – წმიდა გიორგის დახმარებით როგორც უკვე ითქვა, გადმცემის ბევრი სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. სანტერესოა, რომ დიდგორის „ძლევაი საკვირველის“ მოტივები, ამ შემთხვევაშიც, ისტორიული მახსოვრობის ნაწილადაა ქცეული (გუჯეჯიანი 2015).

რასაკვირველია, დღეობის ლოცვითი კომპონენტის დაკავშირება წმიდა გიორგისთან, გვიანდელი მოვლენაა. დღეობა დაცილებულია არქეტის და მასში იკვეთება როგორც მირქმის აღსანიშნავად ლამპრებით ლიტანიობისა და ლოცვის ტრადიციის ანარეკლი, ასევე გვიანდელი ეტაპიც – დღეობის მიძღვნა წმიდა გიორგისადმი. ამ ტიპის სხვა დღეობაც გვაქვს საქართველოში – *ლომისობა*, სადაც რიტუალის არსი იცვლება წმიდა გიორგის ხატთან დაკავშირებული სიუჟეტით, რა დროიდანაც დღესასწაული წმიდა გიორგის ეძღვნება, მაგრამ დღეობის ძველი თარიღი უცვლელი რჩება.

მირქმა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ძვ. 2 თებერვალი, ახ. 15 თებერვალი), თავდაპირველად 14 თებერვალს აღინიშნებოდა, როდესაც აღმოსავლეთის ეკლესია ქრისტეს შობას 6 იანვარს (ნათლისღებასთან ერთად) ზეიმობდა და მიგებება 40 დღის შემდეგ, ანუ 14 თებერვალს უწევდა (IV საუკუნემდე). მას შემდეგ, რაც ქრისტეს შობისათვის ცალკე სადღესასწაულო დღე – 25 დეკემბერი –

გამოყვეს, გადაინაცვლა მირქმის დღემა(ც და იგი უკვე 2 თებერვალზე დადგინდა (კოჭლამაზაშვილი 1998: 20-21).

ე. კოჭლამაზაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ლამპრობის რიტუალის საქართველოს მხარეებში სხვადასხვა დროს (მეზვერისა და ფარისევლის კვირა, 2-3 თებერვალი, ყველიერის პარასკევი...) აღნიშვნის მიზეზი სწორედ ამ კალენდარულ ცვლილებაშია საძიებელი. „აღნიშნული კალენდარული ცილობის კვალი უნდა იყოს ლამპრობის ძველი თარიღი – 14 თებერვალი – შეიძლებოდა დაკავშირებოდა მოძრავი კალენდრის რომელიმე დღეს (ოდესმე იგი დაემთხვეოდა მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკეს ან ხორციელის კვირიაკეს, ყველიერს და სხვ. მომდევნო წლებში კი, დღესწაულის თარიღის საცილობლობის გამო, ამ მოძრავ დღეებს შეეძლოთ თავისკენ მიეზიდათ ლამპრობის რიტუალი) და ისე შეენარჩუნებინათ მოქალაქეობა, ახალი კი უძრავ დღეზე (2 თებერვალი) დარჩენილიყო. ამ გზით, შეიძლებოდა მომხდარიყო მიგებების დღესასწაულის (ან, უფრო ზედმიწევნით, – ლამპრობის რიტუალის) დუბლირება, რაც კალენდარული ტრადიციების შეჯახების მომენტში, საზოგადოდ ბუნებრივი მოვლენაა“ (კოჭლამაზაშვილი 1998: 21).

ვიზიარებ რა ე. კოჭლამაზაშვილის მოსაზრებას, განვაგრძობ საკითხს. სვანეთის და საქართველოს სხვა მთიანი მხარეების ტრადიციულ ყოფაში დადასტურებულია ისეთი დღესასწაულების კვალიც, რომლებიც „იერუსალიმური განჩინების“ პრაქტიკის გამოძახილია (მაგალითად, ათენგენობის//ათნიგენობის დღეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში). ეს ელემენტები საეკლესიო კალენდარში გიორგი მთაწმინდელის მიერ შეტანილი ცვლილებების შემდეგაც კი არ ქრება სრულიად. ამავე დროს, ხშირია, რომელიმე დღესასწაულის დაცილება არქექტიპისაგან და ამ დღეობის გადაფარვა უფრო ცნობილი და გავრცელებული რელიგიური დღესასწაულის ან წმინდანისადმი მიძღვნილი რიტუალით. ვფიქრობ, სწორედ ამგვარი გენეზისი განიცადა „ლიმპარი“ს//

„ლამპრობის“//„ლიჩედურალ“-ის დღეობამაც. სავარაუდოდ გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ის გადაიქცა წმიდა გიორგისადმი – მხედართა და ქულოსანთა მფარველი მთავარმოწამისადმი მადლიერების გამოხატვის დღეობად. ეს არ არის გასაკვირი, გასაკვირი ადრეული ქრისტიანული პრაქტიკის ელემენტების შემონახულობა უფროა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველ მთიელთა განსაკუთრებულ ერთგულებას რელიგიური ფასეულობებისადმი. ბუნებრივია, რომ წმიდა კანონიკური სახით და ფორმით საეკლესიო გადმოცემისა და საღმრთო მსახურების დაცვა მხოლოდ ძლიერი საეკლესიო ორგანიზაციის პირობებშია შესაძლებელი. ამგვარ ფუფუნებას კი ქართველი მთიელები მთელი გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში მოკლებულნი იყვნენ. XIX საუკუნის რუსულენოვანმა წირვა-ლოცვამ ბევრი ვერაფერი შეჰმატა მათ სულიერ ცხოვრებას, რადგან იგი, ძირითადად, მოწყვეტილი იყო ქართული ქრისტიანული კულტურისაგან. საბჭოთა ათეისტურ დროში კიდევ უფრო მეტად დაცილდა ხალხური რიტუალი კანონიკურ სწავლებას და უკვე მეტად ძნელი ამოსაცნობი გახდა სინკრეტულობისა თუ პაგანიზაციის შრეები.

ამ ერთი კონკრეტული კულტურის ფაქტის („ლიმპარი“ს//„ლამპრობის“//„ლიჩედურალ“) ანალიზმა, კიდევ ერთხელ გამოავლინა ქართველთა ტრადიციული სულიერი კულტურის, ხალხურ დღეობათა კალენდრისა და სარიტუალო შესაწირავების შესახებ არსებული სამეცნიერო ინფორმაციის მეორეული ანალიზის აუცილებლობა.

მნიშვნელოვანია, რომ ლამპრობის ორივე რიტუალის მთავარი თავისებურება – ანთებული ლამპრებით ლიტანიობა, – დამახასიათებელი იყო თავიდან მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. მირქმის დღესასწაულის აღმნიშვნელ სახელთა ფუძედ, ევროპის უმრავლეს ქვეყანაში სწორედ „ლამპარი“, „კანდელი“ მოჩანს დღესაც: ინგლისურად – Candles-

as, ფრანგულად – Chandelier⁴⁸ (Fête des chandelles), შვედურად – KYndelsmäss dagen და სხვ⁴⁹.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, ქართულ ტრადიციულ ყოფაში არსებული ლამპრობის ტრადიციები კონკრეტული ქრისტიანული სწავლებიდან მომდინარეა. დღეობის შესახებ ჯერ კიდევ არის ხსოვნა შემორჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და გურიაში, სხვაგან კი, გარდა სვანეთისა, ის ჩემთვის მიუკვლეველი აღმოჩნდა. სვანური ლამპრობის ერთი ვარიაცია ტრანსფორმირებულია და ჩვენი დროისათვის წმიდა გიორგისადმია მიძღვნილი.

ლამპრობის რიტუალები მნიშვნელოვანია როგორც ეთნოგრაფიული არტეფაქტები. რიტუალები ისტორიული ფაქტების ანარეკლების მომცველია. მათში მკაფიოდ იკვეთება კანონიკური სწავლების ელემენტები და ისტორიული პერიპეტეების კვალი. სასურველია, ნებისმიერმა მკვლევარმა ან მედიის წარმომადგენელმა მეტი ყურადღება დაუთოს თვით არტეფაქტების ანალიზს და იყოს ობიექტური. ეთნოგრაფიული მასალა იძლევა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და ვისურვებდი, რომ მკითხველმა ქართვე-

⁴⁸ განსაკუთრებით საინტერესოა გერმანული მასალა: როგორც ცნობილია მირქმის ძველი გერმანული სახელიც ლამპართან ან ნათელთან (სანთელთან) არის კავშირში. რომის ეკლესიამ 650 წელს დაადგინა ეს დღესასწაული, მას თავიდან „მარიას განწმენდის“ დღესასწაული ერქვა „ღვინიგუნგ „მარიას“, მოგვიანებით დღესასწაულს დაემატა **სანთლების კურთხევის რიტუალი და სანთლებით ან ლამპრებით მსვლელობა**, რის გამოც დღესასწაულს მარიას სანთლების დღესასწაული ეწოდა „Mariä Lichtmess“. ამ დღესასწაულზე იკურთხებოდა მთელი შემდეგი წლისთვის საჭირო სანთლები ეკლესიისთვის და ოჯახებისთვის რის გამოც ცვილის ანუ სანთლების ბაზრობები (Lichter სანთელი ან კანდელი - ესეე ბაზრობა) იმართებოდა Licht(er)messen. 1960 წლის ლიტურგიკული რეფორმის შემდეგ ეს დღესასწაული ისევ საუფლო გახდა და „უფლის წარდგინება“ ეწოდა. მასალის მოწოდებისათვის მადლობელი ვარ მიუნჰენის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის **მამა თამაზ ლომიძისა**.

ლთა ტრადიციული სულიერი კულტურის დასახელებულ საკმაოდ მდგრად ელემენტს ჩემი თვალსაზრისითაც შეხედოს.

P.S. სტატიის დაწერა განპირობებულია საქართველოს სოციალური ყოფის ერთი თავისებურებითაც: ბოლო ხანებში შეინიშნება ლამპრობის რიტუალებისა და საეკლესიო სწავლების დაპირისპირების ცდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიისადმი ნეგატიურად განწყობილ პირთა მხრიდან. ხელოვნურად იქმნება აჟიოტაჟი: ეკლესიას წარმოაჩენენ ტრადიციულ კულტურის ნაწილთან – ლამპრობასთან, რაც მათი აზრით წარმართული რიტუალია – მებრძოლ ძაღად. მასმედით არაობიექტურ ინფორმაციას ავრცელებენ სვანეთის ყოფითი რეალების შესახებ და ცდილობენ დაძაბულობის კერის შექმნას. სვანეთის საზოგადოება რეალურად უყურებს ვითარებას, ასევე, სვანეთის სამღვდელოებისათვის, რასაკვირველია, ცნობილია, ლამპრობის ისტორია და მათი მხრიდან არის უწყვეტი მცდელობა რიტუალის ჭეშმარიტი არსის ახსნისა მოსახლეობისათვის. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ბუნებრივი პროცესის ნაწილია სინკრეტული რიტუალების ტრანსფორმირება ან გაქრობა, უწყვეტი კანონიკური სწავლების პირობებში, მაგრამ ეს ტენდენცია არ შეეხება ლამპრობის რიტუალებს, რადგან მათი არსი სწორედ კანონიკური სწავლებიდან იღებს სათავეს და დღეობათა პაგანიზმაც ხალხური კულტურის ბუნებრივი მახასიათებელია.

დამოწმებული ლიტერატურა

გარიგება ხელმწიფის კარისა 1965 – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), თბ., 1965.

გუჯეჯიანი 2008 – რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან – სვანეთი, თბ., 2008.

გუჯეჯიანი 2015 – რ. გუჯეჯიანი, ისტორიის რეკონსტრუქცია – დიდგორის „ძღვეაი საკვირველის“ მოტივები ტრადიციულ ქართულ ყოფაში – სვანეთი, – წმიდა ანდრია პირველწოდებულის

სახელობის ქართული უნივერსიტეტი, კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, IV, თბ., 2015, გვ., 57-63.

ენუქიძე 1999 – ენუქიძე ნ., დღესასწაულთა აღწერის წესი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, - კრ. მრავალთავი, ფილოლოგიური და ისტორიული ძიებანი, XVIII, თბ., 1999.

თაყაიშვილი 1920 – ე. თაყაიშვილი, ჰელმწიფის კარის გარიგება, ქართული ძეგლები, IV – კანონმდებლობა, №1, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, „სახალხო საქმე“, ტფ., 1920.

თოფჩიშვილი 2014 – რ. თოფჩიშვილი. ტრადიციების შესახებ. – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XV, თბ., 2014.

კოჭლამაზაშვილი 1998 – ე. კოჭლამაზაშვილი, ღამპრობის სულიერი შინაარსისათვის, – ჟ. რელიგია, №11-12, თბ., 1998.

მინდიაშვილი 1998 – აკ. მინდიაშვილი, საუფლო დღესასწაულები (განმარტება), თბ., 1998.

ნიჟარაძე 1962 – ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თსუ, თბ., 1962.

სვანური ენის ქრესტომათია 1978 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 21, სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქაღდანმა და ზ. ჭუმბურიძემ. ა. შანიძისა და მ. ქაღდანის რედაქციით. თბ., 1978.

სვანური პროზაული ტექსტები 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, ტ. I, ტფ., 1939.

ქართლის ცხოვრება 1955 – ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტომი I, სახელგამი, თბ., 1955.

წმიდანთა ცხოვრება 2001 – წმიდანთა ცხოვრება, ტომი I, თბ., 2001.

წულაძე 2009 – აპ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 2009.

ჯავახიშვილი 1979 – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979.